პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

3 აგვისტო
ოთხშაბათი
1917. თეთრმა სამხედრო სასახლეში დაესწრნენ ყველა პარტიები გარდა ბოლშევიკებისა დადგენილ იქნა მიეცეს კერენსკის სრულიათ თავისუფლება კაბინეტის შედგენაში.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

[illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური:
— ბერძნების შეტევა ოსმალების წინააღმდეგ შეჩერებულია
— ანგორის პრესა ცნობს [illegible] ბერძნების ომი არ დასრულდება მომავალ წლის გაზაფხულზე უფრო ადრე.
— ჩინეთში მოხდა დიდი მიწის ძვრა.
— ევროპასა და ამერიკაში საშინელი სიცხე დაგვალაგება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 125 ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1921 წ. № 125

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი აუწყებს ყველა წევრთ და პარტიის კანდიდატებს, რომ დღეს 3 აგვისტოს დანიშნულია გასვენება ძვირფასი ამხანაგის ავლ. კომპ. (ჩ. კ.) თავმჯდომარე ავლაბრის ოლქისა

მარტია ლოლაძისა,

რომლის ცხედარი ჩამოასვენეს პიატიგორსკიდან დასასაფლავებლად მშობლიურ ქალაქ თბილისში. ცხედარს გამოასვენებენ ქალ. რევკომის შენობიდან ნაშუადღევს 4 საათზე.

ბრძანება

განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტთან არსებულისა

დღეს 4 აგვისტოს ნაშუადღევის 3 საათზე და 20 წუთზე ყველა განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმებს ებრძანება ჩამწკრივდენ შაშხანებით თბ. კომიტეტის წინ. დასასწრებლად გარდაცვალებულ ყოფილი ავლაბრის ოლქ. ს. ჩ. კ. თავმჯდომარის ამხ. მარტია ლოლაძის დასაფლავებაზე. რისთვისაც რაზმის უფროსებმა პატივცემულ რაიონების მდივნებთან შეთანხმებით დღესვე გამოსცენ ყველა ქარხნებში, ფაბრიკებში და დაწესებულებებში განკარგულება რომ დღეს 2 საათზე ყველა ამხანაგი წევრები და კანდიდატები კომპარტიისა განთავისუფლებულნი იქმნენ მუშაობიდან და შეიარაღებულნი შეიკრიბონ 2 საათზე და 30 წუთზე თავიანთ რაზმებში, საიდანაც რაზმის უფროსის ბრძანებით 3 საათზე და 20 წუთზე უნდა იდგნენ თბ. კომ. შენობის წინ შტაბის უფროსის განკარგულებაში. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

რაზმის უფროსი რუბენი.
შტაბის უფროსი: არუშევი.

ძმური დახმარება დამშეულებს

საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთის მხარეში მოუსავლიობაა. საშინელ გვალვამ მოსწვა ნათესი ასტრახანის, ცარიცინის, სარატოვის და სამარის გუბერნიებში. კრიტიკული უბედურების მსხვერპლი შეიქმნა ამ, ჩვეულებრივად მდიდარი მხარის მშრომელი მასახლეობა. ის ამ თავითვე შიმშილს განიცდის და ეხიზნება შორეულ გუბერნიებში, სადაც მოსავალი შედარებით კარგი იყო. ეს გახიზვნა მიმასწავებელია დამატებითი უბედურების, ვინაიდან, თუ თესველი აღარ დარჩა მდინარე ვოლგას განაპირა გუბერნიებს, გაისათვისაც გაჭირვების ბრჭყალებში ჩარჩება ის მხარე. ასეთ ტრაგიკულ მდგომარეობაშია საბჭოთა რუსეთის ერთი მხარე, ის მხარე, რომელმაც გმირულად გადაიტანა სამოქალაქო ომის მთელი საშინელება, უკომპრომისო კლასობრივ ბრძოლაში კონტრ-რევოლიუციის შავი ურდოები, მაგრამ დღეს, ბუნების უძლეველ სტიქიურ მოვლენის საგანი და მსხვერპლია.

მაგრამ იქ, სადაც მუშა და გლეხია გაბატონებული, იქ სადაც მშრომელთა დიქტატურაა განმტკიცებული, ასეთ საშინელ უბედურებასთან ბრძოლა, მისი დაძლევა და სახიფათო შედეგების თავიდან აცდენა შესაძლებელია. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას ძალუძს, აამოძრაოს ყველა ძალები უბედურების აღმოსაფხვრელად. მხოლოდ პროლეტარულ დიქტატურას შეუძლია მოაწყოს წესიერი და ყოველმხრივი ბრძოლა შიმშილობასთან.

თუ წინეთ, თვითმპყრობელობის დროს, რუსეთის მთავრობა შიმშილობას ებრძოდა უცხოეთის მდიდრების ქველმოქმედების, ამერიკელ მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ ნაბოძებ სიმინდით, დღეს საბჭოთა მთავრობა ებრძვის შიმშილობას ყველა თავისი ძალების მოკრეფით, მშრომელთა შორის ინიციატივის გაღვიძებით. საბჭოთა მთავრობამ და პარტიულ ორგანიზაციებმა უკვე დაიწყეს სათანადო კამპანია, მათ უკვე გამოეხმაურა რუსეთის ყველა კუთხის მშრომელნი, მათ გამოეხმაურა დანარჩენი ქვეყნების რევოლიუციური პროლეტარიატი: ყოველი მხრიდან მოდის დეპეშები რუსეთის დამშეულ გუბერნიების დახმარების მოწყობის შესახებ.

ყველა მშრომელი გრძნობს, რომ უბედურება რუსეთის დამშეულ გუბერნიების, ეს მისი უბედურებაც არის და ამიტომ ენერგიულად იღებს მონაწილეობას დახმარების საქმეში. ამით ინტერნაციონალური და რევოლიუციური ხასიათი ეძლევა რუსეთის დამშეულთათვის დახმარებას; ეს დახმარება—საერთო რევოლიუციონური ბრძოლის ერთ ერთ საფეხურად იქცევა.

განა წარმოსადგენია რომ საქართველოს მშრომელნი განზე დარჩებიან საერთო საქმეში? რაღა თქმა უნდა, არა. რუსეთის მუშა-გლეხთან ჩვენ გვაერთებს და გვაკავშირებს არა მარტო ზოგადი ინტერნაციონალური გრძნობა, არამედ მეტ დროს, ძმური, საერთო ჭირსა და ლხინში გამოწრთობილი გრძნობა ერთობისა, სისხლის ნათესაობისა. რუსეთის გლეხი და მუშა ძმურად გვიყოფდა და შემდეგშიაც გაგვიყოფს თავის მცირე ლუკმას, რუსეთი გვიგზავნიდა და შემდეგშიაც გამოგვიგზავნის რაც კი მის ხელთ იქნება, მაგრამ დღეს მის ერთს კუთხეს უბედურება დაატყდა თავს და საჭიროა სასწრაფო ზომები, საჭიროა საყოველთაო თანაგრძნობა და დახმარება, რათა უბედურება არ გაფართოვდეს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველო, რომელიც თითონ იღებს რუსეთიდან პურს და სიმინდსაც კი, ვერ გაუწევს დამშეულ გუბერნიებს საგრძნობ დახმარებას. მაგრამ ძმური, კეთილი პროლეტარული გრძნობით გაღებულ მცირე წვლილსაც დიდი მნიშვნელობა ექნება და ჩვენს დამშეულ მოძმე მშრომელთ მდ. ვოლგას გუბერნიებში ძალას შემატებს ჩვენი მცირე დახმარებაც კი და გაამაგრებს მათ უბედურებასთან ბრძოლაში. ქალაქ თბილისში უკვე დაიწყო დახმარების მოწყობა—წითელ არმიელების ნაწილებში გამოიტანეს დადგენილება კაცზე ულუფიდან კვირაში ერთი გირვანქა პურის დამშეულთათვის გადადების შესახებ.

შემდგარი ჯამის გადაგზავნა აქედან საჭირო არ არის, რუსეთიდან აქეთ წამოსაღებ პურის რაოდენობას სათანადოთ შეამცირებენ დამშეულთა სასარგებლოთ და ასე რკინისგზებსაც არ დატვირთავენ ზედმეტათ.

საქართველოს მუშები და გლეხებიც ასეთ გზას უნდა დაადგნენ. ყველგან უნდა გაიღვიძოს პროლეტარულმა ინიციატივამ, ყველა კრებებზე უნდა იქმნას დასმული საკითხი საბჭოთა რუსეთის დამშეულ გუბერნიების დახმარების შესახებ.

გარდა სურსათისა, შესაძლებელია და მეტ ნაყოფსაც მოგვცემს სხვა და სხვა საქონლის მოგროვება (ტანსაცმელი და სხვა) მათი გადაცვლით მოსავლიან გუბერნიებში შეიძლება პურის შეძენა და დანიშნულებისამებრ გადაგზავნა. ოღონდ იფეთქოს პროლეტარული სოლიდარობის გრძნობამ და დახმარების საქმის დაწყება უშედეგოთ არ ჩაივლის.

საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტმა უკვე შეადგინა სათანადო კომისია, რომელსაც დაევალა დამშეულთათვის დახმარების მოწყობა. საქართველოს მშრომელნი მხურვალეთ გამოეხმაურებიან ამ კომისიის მოწოდებას და პირნათლად მოიხდიან თავის ვალს პროლეტარული რესპუბლიკის ერთ მხარეში დამშეულ თავის მოძმეთა მიმართ.

აფხაზეთის „დამოუკიდებლობის გამო"

ამ დღეებში ქ. სოხუმში გაიმართა ადგილობრივი პასუხისმგებელ პარტიული ამხანაგების თათბირი რ. კ. პ. საორგანიზაციო ბიუროს წევრების თან დასწრებით, რომელმაც მეტათ საყურადღებო რეზოლიუცია გამოიტანა.

რეზოლიუცია გადაჭრით განსაზღვრავს საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობას.

რეზოლიუცია ემყარება ორ აშკარა ფაქტს. ერთი მხრით აფხაზეთის მშრომელი მასების განსაკუთრებულ პირობებს, ხოლო მეორე მხრით მის ეკონომიურ ისტორიულ აუცილებელ კავშირს საქართველოსთან.

აქედან აუცილებელი დასკვნა შემდეგია: საბჭოთა აფხაზეთი ერთი მხრით უნდა სარგებლობდეს ფართო ავტონომიით, ხოლო მეორე მხრით მან მჭიდრო კავშირი უნდა შეკრას საბჭოთა საქართველოსთან. თვითონ „სრული დამოუკიდებლობის" განხორციელება, იმ დამოუკიდებლობის, რომელიც თვითონ საქრევკომმა მიანიჭა დეკლარაციით აფხაზეთს, შეუძლებლათ მიაჩნია თვითონ აფხაზეთის კომუნისტურ თათბირს და მას სრული საბუთი აქვს იფიქროს, რომ აფხაზეთის მომავალი საბჭოთა ყრილობა აფხაზეთის ხალხს დაუკავშირებს და შეუერთებს საქართველოს მშრომელთა მასებს ფედერაციის საფუძველზე.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, გაქრა ყოველივე მიზეზ-საბაბი ღვარძლიანი ეჭვიანობის და მითქმა მოთქმის ყველა ჯურის ქართველ ნაციონალისტების მხრით.

თვითონ კომუნისტური პარტია და ისიც რ. კ. პ. წარმომადგენლები მოითხოვენ აფხაზეთის დაკავშირებას საქართველოსთან.

შეიძლება ახლაც ეჭვი შემოიტანოს ამაში ვინმე ურწმუნომ, მაგრამ ახლო მომავალი, როცა აფხაზეთის მშრომელთა მასების საბჭოთა ყრილობა ამ მოთხრობას დაადასტურებს კიდეც, „ურწმუნოებსაც" დაარწმუნებს და საქართველოს ფედერაციაც ისტორიული ფაქტი შეიქნება.

იწყება ის პროცესი ხალხთა და ავტონომიების დაკავშირებისა, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მოგვცა.

თუ მსოფლიო ომმა და სამოქალაქო ნიადაგზე ბრძოლამ დაშალა-დაქსაქსა, დაანაწილა მეფის თვითმპყრობელობის ცემენტით შეკოწიწებული იმპერიები—ავსტრიის, გერმანიის, რუსეთის—სამაგიეროთ რუსეთის დიდი რევოლიუციის შემოქმედებამ, ეკონომიურმა აუცილებლობამ უნდა მოგვცეს და მოგვცემს აუცილებლათ კვლავ გაერთიანებულ დიდ სოციალურ პროლეტარულ სახელმწიფოებს, რომელთა ხალხები თვითმპყრობელურ აგრესიული ძალდატანებით კი არ იქნებიან შეკავშირებულნი, არამედ მშრომელთა ნებაყოფლობით და ეკონომიურ პოლიტიკური საერთო ინტერესების იმ მტკიცე მაგარი ფოლადისებური სალტეებით, რომლის დაშლა გმირთა ვითარებასაც არ ძალუძს.

პირველი უდიდესი სალტე, რომლის უდიდეს ფარგლებში შედიან მომცრო სახელმწიფოებრივი სხეულები თავისი ადგილობრივ ტერიტორიალური ავტონომიებით, არის საბჭოთა რესპუბლიკების დედა—რუსეთი; ხოლო შემდეგ რგოლებს წარმოადგენენ ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები და ამათ შორის უმთავრესათ საქართველო, რომლის ფარგლებში შედიან ავტონომიები:—აფხაზეთი და აჭარის.

ყველა ამ საბჭოთა რესპუბლიკებს და ავტონომიებს აკავშირებთ სამი რამე—

1) ეკონომიური და აგრეთვე მჭიდრო თანამშრომლობა, 2) საბჭოთა სისტემა და 3) ფედერაცია.

რუსეთის რესპუბლიკა არის არა მარტო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არამედ ფედერატიული რესპუბლიკაც, ე. ი. დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების და ავტონომიური ერთეულების კავშირი, რომელიც მიმართულია როგორც შინაურ კონტრრევოლიუციურ საერთო ძალების წინააღმდეგ, ისე ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოების წინააღმდეგაც.

ეს კავშირი, ეს ფედერაცია დაპირდაპირებულია ყველა ქვეყნების ყველა სხვადასხვა სახელმწიფოების წინაშე და იგი ეროვნულ საკითხსაც ისე თავისებურათ სჭრის, როგორც სხვა ყველა ეკონომიურ-პოლიტიკურ საკითხებს.

ეროვნულად ჩაგვრის სრულიად მოსპობა, აი ძირითადი პრინციპი ამ მხრით საბჭოთა რესპუბლიკისა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ ცალ ცალკე ერებმა თავისი კარჩაკეტილი სახელმწიფოები დაიარსონ და ერთი მეორესთან არავითარი დამოკიდებულება არ იქონიონ.

არა, ეს იმას ნიშნავს, რომ ერის მშრომელი მასსები თავისუფალი არიან ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრისაგან, ყოველგვარ ძალდატანებითი ზეგავლენისაგან, რაც გამოიხატება მათ მიერ წარმოებულ ადგილობრივ დამოუკიდებლობაში, მართვა-გამგეობაში, ხოლო მეორე მხრივ თვითეული ერის იგივე მშრომელი მასსები უკავშირდებიან სხვა ერების მშრომელთა მასსებს საერთო ეკონომიურ პოლიტიკურ საჭიროების ნიადაგზე და აი ამ კავშირს ეწოდება ფედერაცია ანუ კომუნისტური ინტერნაციონალიზმი.

საქართველოს ჩამოშორდა აფხაზეთი თავის შინაურ ადგილობრივ საქმეებში, და ამ მიზნით მან შექმნა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, მაგრამ მას აქვს საქართველოსთან ბევრი საერთო ეკონომიური, პოლიტიკური, ტერიტორიალურ-გეოგრაფიული და ისტორიული, ასე რომ ყოვლად შეუძლებელია, თუნდაც ეს მან მოისურვოს და ამას რუსეთმაც ხელი შეუწყოს, აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებელი დარჩეს და მან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან მჭიდრო კავშირი არ დაიჭიროს. და ეს კავშირი იქნება ნებაყოფლობითი და არა ძალდატანებითი, როგორც ეს მენშევიკების მატონობის დროს იყო.

რ. ქ.

კონტრ-რევოლიუციონერთა მუშაობა

შეთანხმება, შეკრული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ყოფილ წარმომადგენლების მიერ ივნისის 10 პარიზში.

(გადმოთარგმნილია სომხურ გაზეთ „ჯოღოვურდ—ძაინიდან" — ივლისის 13 №) „ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, სასომხეთისა, აზერბეიჯანის, ჩრდილო-კავკასიის და საქართველოს წარმომადგენელნი გამსჭვალულნი სურვილით, რათა კავკასიის ერებს მტკიცეთ მიენიჭოთ თავისუფლება, დემოკრატიული წყობილება და ეკონომიური აყვავება და იმ ზრუნველობით, რათა ამ რესპუბლიკებს შორის აღმოფხვრათ ყოველგვარი შუღლი, რომ დავამყაროთ ურთიერთ შორის მტკიცე სოლიდარობა, ვაცხადებთ შემდეგს:

1) ზემოხსენებული წარმომადგენელნი სცნობენ რა, რომ კავკასია, რომელიც გამოიხატება, როგორც ევროპასა და აზიის ხიდი, თავის გეოგრაფიულ მდებარეობით წარმოადგენს საერთაშორისო მსოფლიო გზას, რომელიც აერთებს შავსა და ხმელთაშუა ზღვებს ცენტრალურ აზიასთან, და ამ გზის ყველა ხალხთა საკეთილდღეოდ უზრუნველსაყოფად, საჭიროა აუცილებლათ, რომ ისინი იყვნენ სავსებით დამოუკიდებელნი და ერთმანეთ შორის სამხედრო კონვენციით შეკრულნი.

2) ხსენებულ რესპუბლიკათა წარმომადგენელნი აგრეთვე აღიარებენ ერთსულოვნად, რომ ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და გარდაქცევა კავკასიისა იმ დამაკავშირებელ ხიდად, რომელიც გააერთიანებს, ქრისტიანსა და მუსულმან ქვეყნებს, საჭიროა, რომ ამ ხალხთა შორის დამყარდეს მჭიდრო და ძმური უნია, კავშირი.

3) კავკასიის რესპუბლიკები, რომელთაც სურთ რა გადალახონ ყველა ის მიზეზები, რომლებმაც წარსულში სამწუხაროდ გამოიწვია ამ ხალხთა შორის უთანხმოებანი და შეძლების დაგვარათ რომ მათ შორის ჩამოვარდეს მეგობრობა და სოლიდარობა, მოვალენი არიან შემდეგში ყველა არსებული და წამოჭრილი სადავო საკითხები და გაუგებრობანი, განსაკუთრებით საზღვრის საკითხები, გადასწყვიტონ არბიტრაჟის საშუალებით.

4. კავკასიის რესპუბლიკები იღებენ რა მხედველობაში, რომ ამ შეთანხმებაში აღნიშნულ მიზნების მისაღწევად, საჭიროა თავისი საგარეო პოლიტიკაში შეტანა მოქმედებათა სრული თანხმობის და საერთო მოქმედება, მოვალენი არიან არ შეიკრან არავის ვალდებულების აქტით შეთანხმებით, რომელთაც საერთაშორისო ხასიათი აქვს და რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს საერთოთ მოკავშირეების და კერძოთ ერთ-ერთ მათგანს. ისინი საგარეო პოლიტიკის საკითხებში დაკავშირებულნი არიან პოლიტიკურ მოქმედებას იდენტიფიკაციო, ხელი შეუწყონ გაერთიანებას და სოლიდარობას, რომელიც გააერთიანებს შეთანხმების ძალით სხვა და სხვა კავკასიის სახელმწიფოებს

5. ვინაიდან კავკასიის ხალხთა თვითეული დამოუკიდებლობა მჭიდროთ არის დაკავშირებული კავკასიის დანარჩენ ხალხთა დამოუკიდებლობასთან, ზემოხსენებული რესპუბლიკები თვითეულისა და ყველას დასაცავად ერთი-მეორეში სამხედრო თავდაცვითი კონვენციას ჰკრავენ.

6. ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ვიღებთ რა მხედველობაში კავკასიის ყველა ერთა ეკონომიურ ინტერესთა იდენტიურობას, ღრმად გვჯერა და გვსურს რა განვამტკიცოთ ამ ხალხთა პოლიტიკური სოლიდარობა, ვაცხადებთ, რომ საზღვრების საბაჟოები, როგორც სხვა გვარი დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ მიმოსვლას კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე გაუქმებულ უნდა იქნეს და ზემოხსენებულ რესპუბლიკებმა მომავალშიაც საბაჟო კავშირით უნდა შეკრან ერთი მეორეს და საერთაშორისო ვაჭრობისთვის საერთო სატრანზიტო ტერიტორია გამოაცხადონ.

7. ჰკრავენ რა ურთიერთობის კავშირს ზემო მოყვანილ საფუძვლებზე, კავკასიის რესპუბლიკებს გულწრფელად სურთ, რათა განმტკიცდეს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა თავის ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობის დაცვის და ხელშეუხებლობის ყველა მახლობელ სახელმწიფოებთან ე. ი. რუსეთთან, ოსმალეთთან და სპარსეთთან. ერთდროულად სომხეთის, აზერბეიჯანისა, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ რუსეთთან თავის დამოკიდებულებათა მოგვარების დროს, ისინი მზად არიან მისი სამართლიანი ეკონომიური ინტერესებს კავკასიაში გამოიმუშავებ[illegible]ურონ. აგრეთვე დაცული იქნება სპარსეთის ინტერესებიც, რომელიც ეხება სატრანზიტო ვაჭრობას ევროპასთან.

მეორე მხრივ, ვაძლევთ რა არა ნაკლებ მნიშვნელობას მეგობრულ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების ოსმალეთთან, კავკასიის რესპუბლიკებმა თავისი საერთო ძალღონით უნდა გამაგრონ ეს დამოკიდებულებანი იმ საფუძვლით, რომ ოსმალეთმა დაიცვას და პატივით მოეპყრას კავკასიის ერთა ხელშეუხებლობას 1914 წ. საზღვრების ფარგლებში. ვიღებთ რა მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ ოსმალეთში აქამდე სომხეთის საკითხის გადაუწყვეტლობა არის ერთი მთავარი დამაბრკოლებელთაგანი კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანების დასამყარებლად მათივე ინტერესთა დიდათ საზიანოთ, ამ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სთვლიან, რომ გადაუდებელი და სამართლიანი მოხაზვა ოსმალეთისა და სომხეთის საზღვრებისა ოსმალეთის ფარგლებში, თანახმად მათი ორივეს ინტერესებისა, იქნებოდა ერთი გარანტიათაგანი მახლობელ აღმოსავლეთში ზავისა და მშვიდობიანობისა და კავკასიის რესპუბლიკათა გაძლიერება და მათი სიცოცხლის უნარი დამოკიდებულია დიდად ამ საკითხის გარდაწყვეტისაგან, რასაც უნდა მიაღწიონ და ხელი შეუწყონ ამ რესპუბლიკებმა თავისი შეერთებულ ძალ-ღონით.

8. ხსენებულ რესპუბლიკათა მთავრობები დარწმუნებულნი არიან, რომ კავკასიის რესპუბლიკათა დამოკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება დიდ სახელმწიფოთა მორალურ და პოლიტიკურ დახმარებით, რომელიც უკვე აღიარებულია მრავალი საერთაშორისო აქტებით უნდა საერთოთ მთელი ძალ-ღონე მიიტანონ იმისთვის, რომ განავითარონ პოლიტიკური და სავაჭრო სამრეწველო დამოკიდებულებანი უცხო სახელმწიფ. და ისეთი პირობების დამყარება, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფალი შემოჭრა უცხო კაპიტალისა კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრის უტილიზაციისთვის.

9. სომხეთის, აზერბაიჯანისა, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს რესპუბლიკათა წარმომადგენელნი თავისი ღრმა რწმენით, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობისა და ზავისათვის საჭიროა კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ერთობა—აცხადებენ, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ მათი სახელმწიფოთა მიერ დასახული მიზნები მხოლოდ მაშინ, როდესაც მეზობელი სახელმწიფოები პატივით მოეპყრობიან მათივე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას. ამას გარდა ისინი აცხადებენ, რომ დაპყრობა რუსეთ ოსმალეთის შეიარაღებული ძალებით 1916 20-21 წ. ამ რესპუბლიკების ტერიტორიისა არის მათი უფლების შელახვა და მიზეზი ახალი შეჯახებებისა, ამიტომ მთელი დიპლომატიური საშუალებანი უნდა მოხმარდეს, რათა ბოლო მოეღოს ესეთ არაკანონიერ დაპყრობას და წესიერების უფლების მოხმარებას.

10. კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ყოველგვარი ნაძალადევი განკარგულება მეზობელ სახელმწიფოთა მიერ მიწების დათმობის შესახებ აგრეთვე სომხეთის, აზერბეიჯანისა, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს მთავრობათა, სხვა და სხვა ჯგუფებისაგან გაცემული კონცესიებს და მონოპოლიას ვისმესადმი სთვლიან არაკანონიერად და გაუქმებულად, თუ ეს ორგანოები არ არიან ნაყოფი ამ რესპუბლიკათა მცხოვრებთა თავისუფალ ნების-ყოფისა.

პარიზი. ივნისის 10 1921 წ. ოთხ ეკზემპლიარათ არის დაწერილი.

პ. აგარონიანი—სომხეთის რესპუბლიკის მისიის თავმჯდომარე.

ტ. თოფჩიბაშევი,—აზერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგ. თავმჯდომარე.

ა. ჩერმოევი,—ჩრდილო კავკასიის რესპუბლ. დელეგ. თავმჯდომარე.

ა. ჩხენკელი,—საქართ. რესპუბ. ელჩი, საგანგებო დელეგატი და რწმუნებული.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეოთხე (2 ივნისი)

(დასასრული იხ. „კომ." № 24)

ამხ. ზინოვიევის მოხსენება გაგრძ.: გასულ წელში ჩვენ პირველი გამარჯვება ვნახეთ, ჩვენ მოვახდინეთ სოციალისტ-რეფორმისტების, დამოუკიდებლების პარტიის რასკოლი და დავარსეთ მასიური კომუნისტური პარტია. გასაგები იყო რასაკვირველია, რომ გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიაში, რომელიც დაარსდა გერმ. კომუნ. პარ. დაახლოვებით 100,000 წევრისა და 400.000 დამოუკიდებლებისაგან, გამოჩნდებოდა ცენტრალიზმის რეციდივები. ჩვენს წინაშე იდგა ჰალეს შემდეგ ორი მწვავე საკითხი: 1) იარსებოს თუ არა შემდეგ სპარტაკის კავშირმა დამოუკიდებლათ და 2) განვითარების როგორი ტემპ. უნდა დაიკაოს პარტიამ. ჩვენ გამოვედით სპარტაკის სრული დაშლის მომხრეთ და შემდეგ გადავწყვიტეთ შეკავშირება. ასეთი იყო აღმასკომის აზრი.

პირველი კონფლიქტი მოგვიხდა ჩვენ იტალიის საკითხის გამო.

როგორც მე უკვე აღვნიშნე ციტატში, ლევი თანაგრძნობდა სერატისთან ლივორნოში, ხოლო უკანასკნელი წავიდა ბერლინს, შტუტგარდტს და სწერდა, რომ მასთანაა გერმანიის პარტიაო. გერმანიის ცეკას 5 წევრი გამოვიდა ცეკადან იტალიის საკითხის გამო. ეს ღრმა შეცდომა იყო და დისციპლინის დარღვევა. აღმასკომმა თავის მოვალეობათ ჩასთვალა დაეგმო ასეთი ნაბიჯი.

მე მინდოდა მცოდნოდა,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—თუ როგორ მოიქცეოდა ომის წინა დროინდელი გერმანიის სოციალ დემოკრატია. რომ რომელიმე მის წევრს აზრათ მოსვლოდა გამოსულიყო ცეკადან ასე უბოდიშოთ, როგორც ეს ქნეს დასახელებულმა ამხანაგებმა.

გერმანიის პროლეტარიატის უკანასკნელ მარტის გამოსვლებზე გაკეთებულ იქნება ცალკე მოხსენება. რასაკვირველია ამ მოძრაობის დროს ბევრი შეცდომებია ჩადენილი, მაგრამ ეს არ იყო ბუნტი, როგორც ფიქრობენ ზოგიერთები. სასაცილოა ლაპარაკი ბუნტზე, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს მოძრაობასთან, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნახევარ მილიონზე მეტი მუშა. ეს აუცილებელი თავდაცვითი ბრძოლა იყო გერმანიის მუშების. ჩვენც მას ვხედავთ, როგორც ასეთს და არ გვრცხვენია არაფრის. ჩვენ ვამაყობთ გერმანიის მუშებით. ეს მოძრაობა იყო ნაბიჯი წინ.

საკითხი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ გერმანიის კომ. მუშათა პარტიასთან, განხილულ იქნა ჩვენ მიერ ჯერ კიდევ მე-2 კონგრესზე. ჩვენ გერმ. კომ. პარტიის ცეკას აზრის წინააღმდეგ მივიღეთ ის, როგორც თანამგრძნობი პარტია, გაუწიეთ რა ანგარიში მას, რომ მის რიგებში არიან ზოგიერთები ნამდვილათ რევოლიუციონური მუშები. მართალია ისინი ცოტანი არიან რიცხვით, ჩადიოდენ და ჩადიან შეცდომებს, მაგრამ მაინც წარმოადგენენ რევოლიუციონურ ძალას. სხდომაზე, რომელზედაც გადაწყდა გერმ. კომ. მუშათა პარტიის მიღება, მე ვთქვი, რომ დიდი ხნით შეუძლებელია ორი კომუნისტური პარტიის არსებობა გერმანიაში და მივუთითე, რომ შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი: თუ გერმ. კომ. მუშათა პარტია ჩამოყალიბდება წმინდა კომუნისტურ პარტიათ, მაშინ მისი გაერთიანება გერმანიის კომპარტიასთან მოხდება ბუნებრივათ. თუ ეს არ მოხდება, მაშინ გერმანიის კომ. მუშათა პარტია უნდა გავიდეს ინტერნაციონალიდან. მაგრამ გ. კ. მ. პ. ბელადების ნაწილი,—ამბობს ამხ. ზინოვიევი—გადაიქცა ჩვენთვის მტრულ კრისპინის პარტიათ, რომელიც გალეში საბჭოთა რუსეთის მომხრე იყო, და ახლა კი მისი აშკარა მტერია. ამ დღეებში მივიღეთ დეპეშა გ. კ. მ. პარტიისაგან, რომელშიაც ისინი იტყობინებიან, რომ დარჩებიან კომუნისტურ ინტერნაციონალში მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მათი პროგრამა „ხელშეუხებელი" დარჩება. კარგია კომინტერნი „ხელშეუხებელ" პარტიებით. მაგრამ მაშინ ისმება საკითხი: რატომ არ დაუშვათ სერატი, რატომ არ მივსცეთ „ხელშეუხებლობა" სხვა პარტიებს? კომინტერნის გადაწყვეტილებანი კანონი უნდა იყოს ჩვენთვის. თუ ახლა გ. კ. მ. პ. წავა ჩვენგან, ჩვენ გერმანიაში გვყავს კომუნისტური პარტია, რომელმაც გამოცადა თავისი ძალა ბრძოლის ცეცხლში, და ჩვენ დამშვიდებული უნდა ვიყოთ გერმანიის პროლეტარიატის შესახებ. გ. კ. მ. პ. საუკეთესო მუშები წავლენ კომინტერნისაკენ, რომლებიც აცდენენ მათ სწორი გზიდან.

ლევის „ცნობილ" სკანდალურ ბროშიურაზე მე არაფერს ვიტყვი. ეს მეტად დიდი პატივი იქნებოდა მისთვის. ლევი გამორიცხულია კომინტერნიდან, კონგრესი მე მგონია, დაამოწმებს ამას.

ახასიათებს რა კომინტერნის დამოკიდებულებას საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან. ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ გადაწყვეტით იქნა მივიღოთ ის და ანგარიში გაუწიეთ მისმა მდგომარეობას, განსაკუთრებულ პირობებს. როგორც თქვენ იცით, სერატი გვისაყვედურებდა, რომ ჩვენი დათმობა საფრანგეთის პარტიისადმი მეტის მეტად დიდი იყოვო. ჩვენ ფრთხილათ და მოწიწებით ვექცეოდით და მივდგომოდით საფრანგეთის პარტიას, ვინაიდან ჩვენის აზრით, მდგომარეობა იქ სულ სხვა იყო, ვინემ იტალიის პარტიაში, როდესაც კაშენი და ფროსარი იყვნენ მოსკოვში საფრანგეთის პარტიას ჯერ კიდევ პირველი რასკოლიც არ ქონდა მოხდენილი. მასში კიდევ იმყოფებოდენ საფრანგეთის შეიდემანელები—ტომა და რენოდელი. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ საფრანგეთის პარტიის კომუნისტური ჯგუფები ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყვნენ მაშინ და მისი ბელადების უმრავლესობა ციხეში ისხდა. ჩემ მიერ რეპულთან დადებული შეთანხმება შეიცავდა მუხლს, რომლის მიხედვითაც კონგრესისთვის უნდა დაესვათ შემდეგი საკითხი: ღებულობს თუ არა ის 21 პირობას? ლონგემ რასაკვირველია ეს მუხლები არ მიიღო და პარტიამ ის გამორიცხა. ის ამხანაგები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ კონგრესზე ტურში, გაიხსენებენ, რომ უკანასკნელ წუთს კომინტერნის აღმასკომმა გაუგზავნა კონგრესს დეპეშა, რომელშიაც საკტიკათ ილაშქრება ლონგეს, როგორც რეფორმისტის, წინააღმდეგ, უწოდებს მას კაპიტალის აგენტს და მოითხოვს მის გაძევებას. ეს დეპეშა აუცილებელი საჭირო იყო. ტურის კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ საფრანგეთის პარტია ჯერ კიდევ არ არის სავსებით კომუნისტური, მასში კიდევ დარჩენ ცენტრისტული და ნახევრათ ცენტრისტული ელემენტები, რომლებიც ავრცელებენ თავის ტენდენციებს პარტიაშიც, პრესაშიც, პარლამენტშიც. და მაინც მიუხედავათ ამისა ჩვენ ვფიქრობდით, რომ საფრანგეთის პარტიის მიმართ ჩვენი ქცევა უნდა იყოს სულ სხვანაირი, ვიდრე იტალიის პარტიის მიმართ. საფრანგეთში განვითარებაა წინ, იტალიაში კი—უკან. ჩვენ ასე ვთქვათ ჩუმი შეთანხმება დავდევით საუკეთესო ფრანგ. ამხანაგებთან, ჩვენ დავუტოვეთ მათ რამდენიმე თვე გადაჯგუფებისა და ორგანიზაციული მუშაობის დასაწყობად. მე ვფიქრობ, რომ აღმასკომი სწორედ მოქმედებდა, როდესაც გამოიჩინა სიფრთხილე და მოთმინება საფრანგეთის პარტიის მიმართ. მაგრამ ეს სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვთქვათ ის, რისი თქმასაც საჭიროთ ვთვლიდით. მე ვფიქრობ,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—რომ საფრანგეთის პარტიისათვის [illegible] მარცხნიდან საფრთხეს არ წარმოადგენს. დიდი საფრთხე მოელის მას ოპორტუნისტულ მემარჯვენე ელემენტებისაგან. მე ვფიქრობ, რომ სწორეთ საფრანგეთის პარტიაში ძველი ტრადიციები, რომლებიც ზოგიერთმა დეპუტატებმა თან მოიტანეს, ძალიან საშიშია და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ. აქ იყო ნათქვამი, რომ „ჰუმანიტე" სავსებით ჯერ კიდევ არაა კომუნისტური გაზეთი და რომ ის მემარჯვენე დამოუკიდებლების ორგანოზე, „ფრაიჰაიტზე", უფრო ცუდია. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. „ფრაიჰაიტი" აშკარა კონტრ რევოლიუციონური გაზეთია. „ჰუმანიტე" კი უკიდურეს შემთხვევაში სავსებით კომუნისტური არაა, ის პროგრესს აკეთებს, „ფრაიჰაიტი" კი რეგრესს და აწარმოებს უწამხდრეს პროპაგანდას ერთად ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. საფრანგეთის პარტიას ჯერ კიდევ არ აქვს აღებული განსაზღვრული ხაზი საკითხში პროფკავშირების შესახებ. მაგრამ მიუხედავათ სისუსტისა, მიუხედავათ ცუდი ჩვეულებებისა რომლებიც ზოგიერთმა დეპუტატებმა შემოიტანეს თან ძველი პარტიიდან, ჩვენ მაინც ნდობით ვუყურებთ საფრანგეთის პარტიას. ჩვენ გვყავს ახლა პარტია, რომელშიაც ირიცხება 100.000 წევრზე მეტი, რომელშიაც ბატონობს სულ სხვა სული, ვიდრე წინათ. მაგრამ ჩვენ თვალებს არ ვიხუჭავთ მის სუსტ მხარეებზე. ჩვენს უდიდეს მტერს წარმოადგენს ოპორტუნისტული ტენდენციები. ისინი უნდა დავძლიოთ ჩვენ. ამის შესახებ ყოველთვის უნდა ველაპარაკებოდეთ მუშებს.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი გადადის ჩეხო-სლოვაკის საკითხზე.

ჩვენ გვყავს აქ ძლიერი, მასიური, საუკეთესო პროლეტარულ მასალისაგან შემდგარი პარტია. ამხ. შმერალის ნახევრათ-ცენტრისტული მიმდინარეობა უნდა გავაკრიტიკოთ აშკარათ. შესაძლოა, რომ აქაც, როგორც გერმანიაში ვერ ავარიდოთ გვერდი რეციდივებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალიზმის ტენდენციები აქაც დამარცხებულ იქნება.

დიფერენციაციისა და გამიჯვნის პროცესი მიმდინარე წელს შეეხო აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებსაც. ნორვეგია ჯერ კიდევ სავსებით არ განთავისუფლებულა ცენტრიზმისაგან მაგრამ ჩვენ გვყავს ძლიერი, ჯანსაღი პარტია შვეციაში. პარტია აგრძელებს გზას პაციფიზმიდან კომუნიზმისაკენ.

ჩვენ ამ წლის განმავლობაში ვახდენდით არა მარტო რასკოლებს, არამედ გაერთიანებასაც. ჩვენ გავაერთიანეთ ინგლისში წინად ცალ ცალკე არსებული 8 ჯგუფი ბრიტანიის ერთიან კომუნისტურ პარტიაში. ასევე ამერიკაშიაც.

ამერიკაში კომუნისტური მოძრაობა ძალიან იზრდება. მაგრამ მოძრაობა უნდა გახდეს უფრო მასსიური, უფრო ლეგალური. სოც.-დემ. პარტიების რასკოლები და გაერთიანება კომუნისტურ პარტიაში მოხდა აგრეთვე ავსტრიაში, დანიაში და ბელგიაში, და აქვს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა, განსაკუთრებით ბელგიაში, სადაც მოძრაობა ეყრდნობა უმთავრესად პროფკავშირებს, რომლებშიც იჭრებიან ახლა კომუნისტები. შვეიცარიაში მემარცხენემ დასტოვა პარტია და შეუერთდა ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიას. კომუნისტური მოძრაობა ჰპოულობს გავლენას აგრეთვე ფრანგულ შვეიცარიაშიაც. რუმინეთში რასკოლი მოხდა და მოლაპარაკება, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით გამოყოფილ ნაწილთან, ნაყოფიერათ დაგვირგვინდა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იქ გვეყოლება კარგი პარტია. ისინი, რომლებიც მე 3 ინტერნაციონალის მომხრეთ გამოვიდნენ, რუმინეთის მთავრობამ დააპატიმრა. რასკოლი ცენტრისტებთან მოხდა აგრეთვე იუგო-სლავიაშიც. თუ იქ დარჩება ცენტრიზმის ნაშთები, ჩვენ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ. რეფორმიზმი არის სპეციფიკური ზნამი პროლეტარულ მოძრაობისთვის ჩვენი ფრანგი ამხანაგ-მწერლების ბარბიუსის მოხდენილი გამოთქმით.

ფინლიანდიაში კომუნისტური პარტია პროლეტარულ მდგომარეობაშია, მაგრამ მოძრაობა, მიუხედავად გაფართოებულ თეთრი ტერორისა, ღრმავდება და ფართოვდება.

აღწერს რა რევოლიუციონურ მოძრაობას ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, ამხ. ზინოვიევი ჩერდება იაპონიაზე და ამბობს, რომ მუშათა მოძრაობა იქ ამ ჟამათ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო რუსეთის, დაახლოვებით, 1905 წ. წინ. ახლო და შორეულ აღმოსავლეთს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება.

აკეთებს რა კომინტერნის მოღვაწეობის მიმოხილვას მიმდინარე წლის განმავლობაში, ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ არაა თითქმის არც ერთი ქვეყანა, სადაც რასკოლის, გაერთიანებას და ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის პროცესს არ ქონებოდეს ადგილი.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი ჩერდება კომუნისტ ქალების მეორე კონფერენციის შედეგებზე, და იუწყება წითელ პროფკავშირების და კომუნისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის ყრილობებზე, რომლებიც მოხდება მაშინვე კომინტერნის კონგრესის შემდეგ, და რომლებსაც ექნებათ დიდი მნიშვნელობა: პირველს ამსტერდამის საწინააღმდეგოთ, მეორეს როგორც აღმასრულებელი მე-3 ინტერნაციონალის მუშაობის ნაწილს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია უფრო მეტ სირცხვილს არამც თუ მუშათა მოძრაობის ისტორიაში, არამედ საერთოთ ისტორიაშიც კი არ ქონებია ადგილი.

იტალიის „სოციალისტები" ტურატის მეთაურობით შეუთანხმდენ უკვე არა ბურჟუაზიას არამედ ნამდვილ შავრაზმელებს—ფაშისტებს.

ხელშეკრულება უნდა სასწრაფოდ დამტკიცდეს სოციალისტურ პარტიათა დირექციის, იტალიის შრომის კონფედერაციის და სინდიკატთა ცენტრალურ კომიტეტის მიერ.

ყვითელი სოციალისტები და ყვითელი პროფკავშირები სავსებით გათამამდენ მუშა-რევოლიუციონერთა სისხლით შეღებილ შავრაზმელთა თათით თავზე ესობა ჰქვიან სოციალისტებს.

თავის გაზეთში შავრაზმელთა ბელადი მუსოლინი, ამბობს, რომ სოციალიზმი ჩადგა ისტორიულ კალაპოტში და გადაიქცა ნაციონალიზმად.

აბა გამოიგონეთ უფრო მეტი თავხედური დაცინვა ვიდრე ეს ქნა არის.

ისტორია გვიამბობს თუ 600 წლის წინედ თათრებმა როგორ დაამარცხეს რუსები პირველ შეჯახებისთანავე. და გამარჯვებულებმა შებორკილი დამარცხებულნი დააწვინეს ფიცრების ქვეშ და თვითონ დასხდნენ ამ ფიცრებზე სადილის საჭმელად. ასე ზეიმობდენ ველურები თავის გამარჯვებას.

ახლა კი ჩაჩა ჩუხა გააქვს იტალიის მუშების ძვლებს რომლებიც გაყიდეს თავისმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ბელადებმა. როდესაც კაპიტალისტი იწყებს სიტყვა „სოციალისტის" გემოს გაყიდვას-მუშა იძულებული ხდება იგინებოდეს ამ სიტყვით, და მიდიოდეს ერთგულ დროშის-კომუნიზმის დროშის ქვეშ.

ის, რაც ჩაიდინეს იტალიის სოციალისტებმა, მოხარულნი არიან ჩაიდინონ მენშევიკებმაც და ესერებმაც

შეძლების დაგვარად ასრულებდენ და ასრულებენ კიდეც. მოვიგონოთ კოლჩაკი, დენიკინი და სხვა და სხვა.

ახლა კი—ჩიტადან მოსული დეპეშა გვიამბობს, რომ ვლადივოსტოკში შავრაზმულ მერკულოვის მთავრობის არჩევნებში წარადგინეს თავისი სია ესერებმაც მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მუშები, საბოლოოდ ჩამოჭკლიჯავენ ნიღაბს თავის გამყიდველებს და ერთი შემოკვრით გაუსწორდებიან, როგორც მათ აგრეთვე ბურჟუაზიის ხელისუფლებასაც.

რამდენადაც ლამე ბნელია, იმდენად დილა ახლოა.

„ბუდნოკი" 9 ივლისი.

—

წითელი მილიონები.

მოსკოვში ერთი მეორეზე სწარმოებდა და სწარმოებს ამ ჟამად

საერთაშორისო წითელ გაერთიანებითა ყრილობები: მუშა ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, კომუნისტური ინტერნაციონალის მე 3 კონგრესი, წითელი პროფკავშირთა კონგრესი და ბოლოს ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესი.

დედამიწის სხვა და სხვა კუთხიდან შეკრებული დელეგატები ამ ყრილობებზე წარმოადგენენ მილიონობით პროლეტარებს, გაერთიანებულთ მსოფლიო რევოლიუციის დროშის ქვეშ მათი რიცხვის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა პროლეტართა ერთი ნაწილის ციფრიც კი, რომელნიც გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო პროფკავშირთა საბჭოში.

ისინი 16.380,000. თითქმის თექვსმეტ მილიონ ნახევარი მუშა სხვა და სხვა ქვეყნიდან, რომელიც მიემხრო წითელ გაერთიანებას და კავშირი შესწყვიტა შემთანხმებელ-რეფორმისტთა ყვითელ ამსტერდამის გაერთიანებასთან. ეს ციფრები, რასაკვირველია, არ საზღვრავს მსოფლიოს ყველა პროლეტართა რაოდენობას, მაგრამ იგი მშვენივრად ახასიათებს მუშათა მოძრაობის ზრდას მიმდინარე წელში, იგი ცხადათ გვიჩვენებს იმ უფსკრულს, რომელიც მუშათა რევოლიუციონურ მასათა და შეთანხმებელ ბელადთა შორის შეიქმნა. ამასთან იგი მოწმობს კომუნისტურ თვითშეგნების კლასიურ ზრდას.

ამის შემდეგ როგორი დასკვნა უნდა გააკეთოს რუსეთის პროფკავშირებმა, ამ საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მებრძოლმა რევოლიუციონურმა ავანგარდმა? მხოლოდ ერთი:

ეხლა, როდესაც ჩვენ აუცილებლათ ვდგევართ დასავლეთ პროლეტართა დიდ ბრძოლის წინა ბჭესთან, ჩვენ გვერჩება აქ, პროლეტარულ რუსეთში გავამაგროთ მუშათა რევოლიუციის საფუძველი მისი უცვლელი ბაზისი—მსხვილი მრეწველობა.

მსხვილი მრეწველობის აღდგენა—ასეთია რუსეთის პროფკავშირთა ბრძოლის ლოზუნგი საერთაშორისო პროფკავშირთა წინაშე.

„ტრუდი“ 10 ივლისი.

წითელ რესპუბლიკებში.

რუსეთი.

პეტროგრადის ნავთსადგურის გაფართოება.

პეტროგრადი. ამხ. კიროვმა მოიწვია პეტროგრადში უცხო ტეხნიკოსთა და ზღვის საქმის მცოდნე პირთა პირველი პარტია, რომელთაც დავალებული აქვთ პეტროგრადის სავაჭრო ნავთსადგურის გაფართოებისათვის მუშაობის ორგანიზაცია. პირველ პარტიაში შედიან ინგლისელი სპეციალისტები, რომლებმაც უკვე დაათვალიერეს, გამოიკვლიეს ნავთსადგურის მდგომარეობა, გაზომეს მისი ფარვატერი, სიღრმე, გადმოტვირთვისათვის სიფართოვე, და სხვ.

მუშათა ფაკულტეტები.

პეტროგრადი. ამ სასწავლო წელში სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან და ინსტიტუტებთან იხსნება მუშათა ფაკულტეტები: სამთო, ელექტროტეხნიკური, ტეხნოლოგიური და გზათა მიმოსვლის. შემოდგომიდან პეტროგრადში მთლად იმოქმედებს ცხრა მუშათა ფაკულტეტი 5,000 მსმენელით.

განათლების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანება

მოსკოვი, 30 ივლისი (რადიო) კომინტერნის პროფინტერნთან დაკავშირებით შეიქმნა მასწავლებლებისა და განათლების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანება. 5 თათბირზე მიიღო მონაწილეობა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიისა, უნგრეთისა, შვეიცარიისა, იტალიისა, ესპანეთისა, ჰოლანდიისა, შეერთებულ შტატებისა, მექსიკისა, არგენტინისა, ავსტრალიისა, ბოლგარიისა და პედაგოგთა ინტერნაციონალის მასწავლებელთა კავშირების წარმომადგენლებმა. მოწოდება გამოუშვეს ყველა ქვეყნის სწავლა-განათლების მუშაკთა და მასწავლებელთა მიმართ, ამ მოწოდებაში აღნიშნულია მასწავლებელთა პერსონალის მონაწილეობის აუცილებლობაზე მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ტყვეობისაგან და შექმნა შრომის ახალი სკოლისა კომუნისტურ განათლების საფუძვლებზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

15,000 პროტესტანტი

ჰანოვერი. 1 აგვისტო (რადიო). (დამახინჯებულია) ბევრს ხელში ჰქონდა სოციალისტური დროშები და ლოზუნგები დემონსტრანტები ლიუსტგარდენში შეიკრიბნენ სახელის მახლობლად, დემონსტრანტები 15,000 კაცამდე იყო, დემონსტრაციის დროს მფრინავი მიტინგები ეწყობოდა, რომელზედაც გამოდიოდნენ მოწოდების სიტყვით პარტიის წარმომადგენლები, უმთავრესად ორი სოციალისტური პარტიის წევრები. ბურჟუაზიულ ლიბერალური პარტიები დემონსტრაციაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ხმები დადის, რომ მსგავსი დემონსტრაციები, მიმართული წინააღმდეგ საფრანგეთის პოლიტიკისა ზემო სილეზიაში და ბერლინის მთავრობისა, გერმანიის სხვა ქალაქებშიაც გაიმართა.

ბოროტი სოციალისტები.

ბერლინი. 15 ივლისი გერმანიის მთავრობამ კანცლერ ვირტის თავმჯდომარეობით განიხილა საკითხი ბოლშევიკურ იდეა პროპაგანდის შესახებ, რომელსაც ეწევიან გერმანიაში მცხოვრები რუსები. ვირტმა განაცხადა: მთავრობა ენერგიულად დაუწყებს დევნას ყველა ბოლშევიკურ აგიტატორებს. საჭიროება თუ მოითხოვს მთავრობა გერმანიიდან დაუყონებლივ გაძევებს და გადასახლებს გერმანიაში მცხოვრებ ყველა რუსებს.

გერმანიის ჯარი ზემო სილეზიაში

პარიზი. 30 ივლისი (რადიო). გაზეთი „პტი პარიზიენის“ ცნობებით ზემო სილეზიაში ეგრედ წოდებული „მწვანე ლაშქარი“ იმყოფება, რომელთა რიცხვი 7000 კაცამდე აღწევს და შეარაღებულნი არიან თოფებით, ხელით სასროლი ყუმბარებით და ტყვიის მფრქვეველებით. ფორმალურად ეს რაზმი მოკავშირეთა კომისიის მორჩილებაში უნდა იყოს, მაგრამ ფაქტიურად გერმანიის სარდლობის ბრძოლის მიზნებს ემსახურება და ასრულებს მათ დავალებას. „მწვანენი“ ქვემო და ცენტრალურ სილეზიაში იმყოფებიან. მათი შტაბი მოთავსებულია ბრესლავში. ამას გარდა სხვა და სხვა ქალაქებში საკმაო გერმანიის სამხედრო ნაწილები სდგას, რომელიც საერთოთ აღწევს 50,000 მდე.

მექსიკაში.

პარიზი. 28 ივლისი ტამანკოში ნავთის რაიონის მუშათა შორის არეულობამ იფეთქა. ტამანკოში ჯარები გაიგზავნა.

მსოფლიოს განიარაღება.

ლონდონი. 29 ივლისი. რადიო. იაპონიის მთავრობამ საბოლოოდ მიიღო პრეზიდენტ ჰარდინგის წინადადება ვაშინგტონის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. კონფერენციის პროგრამის განსახილველ საკითხებზე წინასწარ იქნება თათბირი.

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, იაპონიის სამხედრო, საზღვაო და გარეშე საქმეთა მინისტრებმა შეიმუშავეს სქემა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ყველა ფორტიფიციონური ნაშენების საერთო გამგებლობის მოსაწყობად. ეს სქემა გაიგზავნება ვაშინგტონში და მომავალ კონფერენციაზე განხილულ იქნება.

პეტროგრადის ნავთსადგურის მნიშვნელობა.

ბერლინი. 15 ივლ. გაზ. „ახალი ქვეყანა“ იუწყება, რომ ამერიკის მრეწველთა აზრით პეტროგრადის ნავთსადგურს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ვაჭრობის განახლების დროს რუსეთთან. პეტროგრადის ნავთსადგური როგორც ცენტრი მალე უნდა აღდგენილ იქმნეს.

(ოსმალეთ-საბერძნეთის ომი).

საბერძნეთის იერიშების შეჩერება.

ლონდონი. 31 ივლისი (რადიო) ოსმალეთის სარდლობა იუწყება, რომ საბერძნეთის იერიშები საბოლოოდ შეჩერებულია, სიდი-გაზისა და სინჯასთან ბრძოლა ბერძნებსა და ოსმალთა შორის სამი დღე გაგრძელდა. ბერძნები იძულებულნი იყვნენ დაეხიათ ოსმალთა სასტიკ კონტრ-იერიშების გამო, ინგლისის ცნობებით ბერძნებმა ამ დახევის დროს დაკარგეს 5000 კაცი, ტყვეების რიცხვი 5000 აღემატება.

როდის გათავდება ომი?

რომი. 18 ივლისი. ანატოლიის პრესა ამტკიცებს, რომ საბერძნეთ ოსმალეთის ომი მალე ვერ მოთავდება. წლევანდელი ზამთარი ვერ შესძლებს ომის ლიკვიდაციას, რომელიც ალბად, ზამთარში შესვენების შემდეგ კვლავ გაზაფხულზე განახლდება და გადაწყდება ომის ბედი მომავალ წლის გაზაფხულში.

საბერძნეთის ფლოტი შავ ზღვაში.

ბათომი. 31 ივლისი (ტელეგ.) ტრაპიზონის რადიო, გადმოცემს ანგორის ცნობებს ივლისის 26 იდან ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. შავ ზღვაში საბერძნეთის სამხედრო ფლოტი დასცურავს. ამის გამო ტრაპიზონის მცხოვრებნი ყოველ საათს მოელიან, რომ საბერძნეთის გემები ქალაქს ხელმეორეთ დაუშენენ ზარბაზნებს. ოსმალეთის მრავალ ნავთსადგურებში მყოფი ამერიკის ნაღმოსნები აჩერებენ საბერძნეთის ჯარს სამხედრო ოპერაციებისაგან—დროებით მაინც.

ფრანგი გენერლის აზრი

ფრანგმა გენერალმა ლეკრუამ განაცხადა, რომ საბერძნეთის იერიშებს იწვევს წარსული იერიშების ბედი. საბერძნეთის ლაშქარს არ მოეპოვება საჭირო ელემენტები მდგომარეობის გადასაწყვეტად.

ჩინეთი.

მიწის ძვრა ჩინეთში.

პარიზი. 18 ივლისი. პეკინიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით ჩინეთში დიდი მიწის ძვრა ყოფილა: აღრიცხულია 180,000 მსხვერპლი და ბევრი დანგრეული სოფლები.

ევროპა და ამერიკა

საშინელი სიცხე და გვალვები

პარიზი. 15 ივლისი. გაზეთი იძლევა შემდეგ ცნობებს სიცხისა და გვალვების შესახებ ევროპასა და ამერიკაში: სიცხე პარიზში აღწევს 32 გრადუსს დილის 10 საათზე ჩრდილში. ასფალტით დაგებული ქვაფენილები გადნენ. ჰაერი შეხუთულია. საშინელი გვალვებია, რომელმაც უკანასკნელ თვეების განმავლობაში მინდვრები და ბოსტნები მოსპო. გვალვების შედეგი აშინებს ხალხს მოსავლის გაცდენის გამო.

ინგლისში სიცხემ და გვალვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მრავალი შემთხვევაა მზისა და სიცხისგან სიკვდილის.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში სიცხე 40 გრადუსს აღწევს ჩრდილში.

ქრონიკა

◆ ქუთაისის მომღერალ ქალვაჟთა სახელმწიფო გუნდის მოგზაურობა. ქუთაისის სახელმწიფო გუნდს, დამსახურებულ მუსიკოსის კორნელი მაღრაძის ხელმძღვანელობით, განზრახული აქვს ახლო მომავალში მოაწყოს მოგზაურობა საქართველოს შემდეგ დაბა-ქალაქებში: ბათომში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ბელოგორში, ხაშურში, ბორჯომში, წაღვერში, გორში, თფილისში, თელავში და სიღნაღში. გუნდი შესდგება ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ 30 ქალ-ვაჟისაგან. კონცერტის რეპერტუარი მრავალ მხრივია და შედის შიგ 30 № მდე, როგორც ჩვენი, აგრეთვე უცხო კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებნი.

◆ ჟურნალი „ყუმბარა“. 1 აგვისტოს გამოვიდა სალიტერატურო და იუმორისტულ ჟურნ. „ყუმბარის“ პირველი ნომერი შემდეგი შინაარსით: სონეტი—სანდრო ეულისა, ქარხანაში—ბაბ-ასი, სოფლელი პატარა ქალი—ნ ზომლეთელისა, გაფაცვა—ს.—თია—სი, ჰორიზონტი, „ყუმბარაში პეტარდასი, მაშენიკები—წიწაკასი, ვაჭარი—ჭ ღარასი, თბილისის თეატრებში—ონისიმესი, გადარეულის ლექსები. ჟურნალში არის მრავალი კარიკატურები და წარწერები. ჟურნალის საწყობი და რედაქცია: ლორის-მელიქოვის ქ. № 5.

პარტიული ცხოვრება

ორკვირეული

ქალაქ თფილ. პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება

პარასკევს, 29 ივლისს, საღამოთი, პარტიის გასაძლიერებელ გასამაგრებელ „ორკვირეულის“ მიზნით შესდგა ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული ქალაქ თფილისის პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

ამ დღეს აღნიშნულ კრებაზე თითქმის ყველა წევრები და კანდიდატები გამოცხადებულიყვნენ: დარბაზი სავსებული იყო ამხანაგებით, სადაც მრავლად მოსჩანდნენ ერთმანეთში არეული ქართველი და რუსი წითელი არმიელებიც.

კრება გახსნა ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მამია ორახელაშვილმა. მან მოკლეთ გასცნო ამხანაგებს შეკრების მიზანი, და აქ შემდეგ მისცა სიტყვა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ ამხ. სერგო ორჯონიკიძეს. უკანასკნელის სახელის ხსენებას ხალხი ოვაციებით შეხვდა, და ორკესტრის მიერ შესრულებულ იქმნა მსოფლიო პროლეტარული ბრძოლის ჰიმნი ინტერნაციონალი.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ

ამხანაგებო! რაც არ უნდა ვიძახოთ, და როგორადაც არ უნდა მოვაწყოთ აქა თუ იქ აღორძინებული საბჭოთა პატარა სახელმწიფოები, ვარქვათ მას დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული, ერთი კი ჩვენთვის, კომუნისტებისთვის ცხადი უნდა იყოს: საბჭოთა რესპუბლიკების ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს,—იქონიონ ერთმანეთ შორის მჭიდრო, სულიერი კავშირი. ეს არის აღმოცენებული ნაციონალურ სახელმწიფოებრივი საზღვრების არ მქონე პროლეტარიატის ბუნებაში, გამოწვეული ერთი მტერით,—კაპიტალის, წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლის საჭიროებით; ისე, როგორც დღეს ყველა კაპიტალისტური ქვეყნები, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ საკუთარი, შემოსაზღვრული სახელმწიფოები, ჩვენთან,—თავიანთ კლასობრივ მტრებთან, ბრძოლაში მათ აქვთ გაერთიანებული როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური მხარეები ცხოვრებისა. ეს ასეთი კავშირი ბუნებითად არსებობს აქ ჩვენშიაც, მაგრამ ეს ისე აშკარად არ არის ჯერ გამხდარი, რომ ფართო მასებმა შეიძლოს მისი დანახვა; ამიტომ ამხანაგებო, საჭიროა მისი ისე ჩამოყალიბება და დაყენება, რომ ასეთი ნაკლი გამოსწორებული იქმნას.., აქ შეიძლება ვინმემ იგონოს, რომ ეს გაერთიანება ძველ,—ნიკოლოზ მეფის დროინდელ,—ფორმებში მოხდება; რომ ამ გაერთიანებით წაიშლება საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, და მათ ცენტრათ თფილისი გახდება. ასეთი ყალბი თვალსაზრისი გაერთიანებისა, და მისი ჩვენზე მოწერა, მხოლოდ ჩვენ მტრებს შეუძლია.

. . იმპერიალისტური ომის შედეგმა გამოიწვია დამარცხებულ პატარა სუსტ სახელმწიფოების დაყოფა და ქუცმაცება; გაბატონებულ სახელმწიფოების სასარგებლოდ მოხდა დანაწილება ეკონომიურად და პოლიტიკურად გაერთიანებულ ქვეყნების სხეულისა. ამის მაჩვენებელი მაგალითები არის ავსტრო-უნგრეთი, გერმანია. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში, როცა გვიხდებოდა ძველის ნანგრევებზე ახალის შენება და ორგანიულად დაუმუშავებული ვიყავით ამ დაყოფას დიდ რუსეთშიც ჰქონდა ადგილი, რომელსაც გარეშე მტრებთან შეთანხმებით ჩვენი შინაური მტრები აწყობდა თქვენ მოიგონებთ, თქვენ გახსოვთ, თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც ყველაზე დიდ ფიგურათ ჩხეიძე წერეთელი ითვლებოდა რუსეთის რევოლიუციონურ მმართველობაში, როგორ სძაგდით და ეჯავრებოდათ დამოუკიდებლობა; არა თუ დამოუკიდებლობა პატარა ერებისა, მათ საკუთარი ქვეყნისთვის საქართველოში ავტონომიაც უბრალო სამმართველო ავტონომიაც კი არ მოისურვეს; ხოლო თუ ეს ვინმემ მოისურვა—ეს იყო ჩვენი ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები,—კინაღამ ჯვარს აცვეს, [illegible] აგენტი მენშევიკები აქ იმათი პარტიის წინააღმდეგ პოგრომებსაც აწყობდნენ.

. . . ისინი, ე. ი. ჩვენი დღევანდელი მტრები როცა გაბატონებული იყვნენ, სახელმწიფო საჭე ეპყრათ ხელთ, გრძნობდნენ, იცოდნენ, რომ დაყოფა, დაქუცმაცება, დაუძლურება-დასუსტებას, ხშირად სიკვდილსაც ნიშნავდა; ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ მას; უხეშათ ტლანქათ კი თუმცა, რომლებიც ოდნავ არ უწევდენ ანგარიშს იმპერიალისტების მზაკვრობით დაჩაგრულ პატარა ერების სურვილ-მოთხოვნილებებს... რა მოხდა შემდეგ?—როდესაც პეტერბურგის და მოსკოვის პროლეტარიატმა გადაძრო კისრიდან ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული მთავრობისმიერ დადგმული მძიმე უღელი გახდენ ძალაუფლების პატრონი, გამოგლიჯეს სახელმწიფო საჭე კადეტებს და მათ ამყოლ მოღალატე მენშევიკ ესერებს ხელიდან, იმათ იწყეს რუსეთის განაპირა, კულტურულათ ჩამორჩენილ პატარა ერებში გაპარვა, და იქ უსაქმოთ დარჩენილ რუსეთის გენერლებთან აჯანყების მოწყობა მოსკოვ-პეტროგრადის პროლეტარიატის წინააღმდეგ. როცა ამათ ვერაფერს ვერ გახდენ—ჩვენ მაინც ვიმარჯვებდით, ვძლიერდებოდით, მრავალ სოფელ-ქალაქებში ფრიალდებოდა საბჭოთა წითელი კომუნისტური დროშები; იცოდენ რა იმათ ჩვენი პროგრამა, ჩვენი პრინციპი ერის დამოუკიდებლობის შესახებ, პატარა თავისუფალ სახელმწიფოების შესაქმნელად მათ ისარგებლეს ამ წინდებით და ამაზე იმ განაპირა პატარა ქვეყნებში გამოაცხადეს დამოუკიდებლობა,—სრულიად მოსწყდენ პროლეტარულ რუსეთის ცენტრს, ხოლო კავშირი გააბეს შეუერთდენ, დაემორჩილენ როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად ჩვენს კლასობრივ მტრებს—იმპერიალისტურ ქვეყნებს. აი თუ რა სახით და მიზნით მოხდა ეს გამოყოფა საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთისა. თქვენ გახსოვთ რა თქმა უნდა ამის დასადასტურებლად მოწვეული ამიერ კავკასიის სეიმი,—მუსავატელების, დაშნაკელების და მენშევიკების შედუღება დამოკიდებულ ერთ ჩანგზე გალობა მათი... ყველა ერთად ცდილობდნენ გაქცეოდნენ რევოლიუციონურ მოსკოვ პეტერბურგს, ამიტომ მოიგონეს დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა. აილეს ჩვენგან ლოზუნგი ნაციონალური თვითგამორკვევა-გამოყოფა... ამ „გამორკვევისათვის“, ამ „გამოყოფის“ დასაცავათ მათ ყველად მიიწვიეს იმპერიალისტ გერმანიის, ოსმალეთის, საფრანგეთის, ინგლის-ამერიკის სურსათი, ტყვია-წამალი და თეთრ-ყვითელ-შავ კანიანი ჯარები, რომელთაც არც კი უკითხავს ხსენებულ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებისთვის,—იყო ისინი საჭირო თუ არა მათთვის? თქვენ გახსოვთ ამხანაგებო აჯანყებულ დუშეთის, სამეგრელოს და გორის ცხინვალის გლეხები, თუ როგორ იქნა აწიოკებული და დამარცხებული გერმანია-ოსმალეთის ტყვია წამლებით და ჰაეროპლანებით, და თუ გამაგრდენ მენშევიკები ამ ხანებში მხოლოდ ამათი შემწეობით და დახმარებით.

ამხ. სერგომ მიუთითა აქ ამხანაგებს ინგლისის ჯარის სამხედრო მოქმედებიდან მრავალ ფაქტებზე, რომლის შესახებ მენშევიკების მთავრობას არაფერი სცოდნია, არ სცოდნია მიტომ, რომ მათ ისინი არ ეკითხებოდნენ. მან შემდეგ გადავიდა წითელ არმიელების საქართველოში შემოსვლაზე და აღნიშნა ისტერიული ყვირილი მენშევიკებისა და მათი აგენტების, რომ თითქო რუსეთის პროლეტარულ, საქართველოს მშრომელი ხალხის დამცველ და მეგობარ წითელ ჯარს დაერღვიოს საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო „დაავიწყდათ“ ის კი, რომ დამოუკიდებლობის ამ „დარღვევას“ იმედნენ ისინი სხვებიდან, სხვა დროს.

(დასასრული იქნება)

ხუგახტი.

პროვინციაში.

ოზურგეთის მაზრის თემთა რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა.

1 ივლისს 1921 წ. სამაზრო რევკომის ინიციატივით შესდგა ოზურგეთის მაზრის თემის რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა. ყრილობას დაესწრენ 40 თემის რევკომთა თავმჯდომარეები, აკლდა, მხოლოდ დიდი ვანის რევკომის თავმჯდომარე. ყრილობას ხსნის სამაზრო რევკომის თავმჯდომარე ამხ. ანდრო დოლიძე.

ის იგონებს იმ ამხანაგებს, რომლებმაც თავი დასდვეს და მსხვერპლად შეეწირენ საქართველოში მშრომელთა ძალა უფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში. ყრილობა ფეხზე ადგომით 3 წუთს სცემს დაღუპულ ამხანაგებს. დაბოლოს ამხ. დოლიძე ხელმეორედ ესალმება ყრილობას და კითხულობს ცენტრალურ კომიტეტის და რევკომის სახელზე გასაგზავნ მისასალმებელ დეპეშებს, რასაც ყრილობა ტაშის ცემით ღებულობს. შემდეგ სამაზრო რევკომი ყრილობას უდგენს დღის წესრიგს დასამტკიცებლათ, რასაც ყრილობა ამტკიცებს: 1. მოხსენება მომენტზე, 2. მოხსენება ადგილებიდან, 3 ეკონომიური კრიზისი და მასთან ბრძოლა, 4. რევკომებს და პარტკომებს შორის დამოკიდებულება, 5. რევოლიუციონური წესრიგის დაცვა, 6. რევკომების და მილიციის შტატის შემცირება, 7 დეზერტირები, 8 ავანსები და ანგარიშები, 9. დაბადებულთა და მიცვალებულთა აღრიცხვა, 10. სკოლები და საექიმო პუნქტები, 11 მისვლა მოსვლა და კავშირი სამაზრო ცენტრთან, 12. დეკრეტების, ბრძანებების და განკარგულებების ცხოვრებაში სისწორით და სასწრაფოთ გატარება, 13. კოოპერატივები და მათი [illegible], 14. განცხადებები.

1. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას აკეთებს სამაზრო რევკომის და გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. კოწია გურგენიძე. მოხსენების შემდეგ ანდრო დოლიძის მიერ წარმოდგენილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. რეზოლიუციის შინაარსია: ოზურგეთის მაზრის რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება დღევანდელ მომენტზე, აღფრთოვანებით აღნიშნავს პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის დიქტატურის ბრწყინვალე გამარჯვებას, როგორც საბჭოთა რუსეთში ისე საქართველოშიაც მიუხედავათ პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის სისხლში მოსვრილ მტრის ხელებით დამართულ ზღუდეებისა, ჩვენ წმინდა რევოლიუციონერ ფიცს ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ხსენებულ დიქტატურის განმტკიცებისა და მისი საბოლოო გამარჯვებისათვის საბჭოთა საქართველოში.

2. მოხსენება ადგილებიდან. ოსიაურის თემიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ბესარიონ რუსიძე ამხანაგის მოხსენებიდან ირკვევა შემდეგი: თემში სუფევს წესრიგი. რევკომის წევრი სამია—მილიციონერი ოთხი. სურსათი საკმარისია დღესაც გვაქვს 120 ფუთი სიმინდი. არის შკოლები, მაგრამ საჭიროა რემონტი. არის საექიმო პუნქტი, მაგრამ ექიმის თანაშემწე უმწეო მდგომარეობაშია. სამწუხაროდ არ არის ტელეფონი.

2. გურიანთის თემიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. შერ. დოპორჯგანიძე. უპირველეს ყოვლისა ამბობს ახლახანს მოხდა განიარაღება. პარტია არ იყო ძლიერი, მაგრამ დღეს არის უფრო მაგარი. გვაქვს სამოცი ფუთი სიმინდი რომელიც დაურიგეთ ქვრივ ობლებს. გვყავს ორი მილიციონერი. რევკომი შედგება სამი პირისაგან. გზებისთვის ჯერ ყურადღება არ მიგვიქცევია, მუშაობის გამო. არის საფერშლო პუნქტი. არის აგრეთვე შკოლისათვის დაუმთავრებელი შენობა, საჭიროა მისი დამთავრება და მასწავლებლის დანიშვნა.

3. ხევის თემიდან მოხსენებას აკეთებს ამხ ილარიონ მამალაძე, რომელიც ამბობს შემდეგს. თემში სრული სიწყნარეა—შიმშილობა არ არის. არის სასწავლებლები, მაგრამ საჭიროებენ შეკეთებას. არის საექიმო პუნქტი.

4. მიქელ გაბრიელის თემიდან მოხსენებას აკეთებს ამხანაგი სანდრო ჩაგუნავა

ერთ ხანს აქ იდგა წითელი ჯარი, რომელსაც კარგად ეპყრობოდა ხალხი გვქონდა ოთხასი ფუთი სიმინდი ძველი მთავრობის მიერ შეკრებილი, რომელიც მივეცით წითელ ჯარს, მაგრამ ფულის აღება შეუძლებელი შეიქნა ფულის უქონლობის გამო. გზები ცუდია, სასწავლებლები არის. პარტიული მუშაობა მოისუსტებს. ხალხი სიმპატიით გვიყურებს გარდა მენშევიკების მეთაურებისა. დაგვრჩა სამოცი ფუთი სიმინდი, ნაწილი აქედან დაურიგეთ ღარიბ ქვრივ ობლებს.

5. ეკითის თემიდან რევკომის თავმჯდომარე ლევანტი რამიშვილი.

პარტიის და რევკომს შორის დამოკიდებულება კარგია. წინეთ მენშევიკები მუშაობდენ და დღეს კი მუშაობა არ არის და გავლენაც არ აქვთ ხალხზე. კრიზისი არის. ჩვენთემს ქონდა შემონახული მენშევიკების მიერ სიმინდი, სურიანთის თემშიაც მაგრამ 6 წილი ამ სიმინდისა მიიხმარა სასურსათო კომიტეტმა, ნაწილი კი გურიანთის თემმა. ფული დღესაც აუღებელი გვაქვს. სკოლები არის ბევრს, მაგრამ საჭიროებს შეკეთებას. ფერშალი არის. გზებისთვის ჯერ არ მიგვიქცევია ყურადღება.

6. ჩოხატაურის თემის რევკომიდან სევერიანე კიკალიძე. არის საექიმო პუნქტი, არსებობს საავადმყოფო, ეწყობა შაბათობა, შენდება პარკი, რომელსაც ხელმძღვანელობს კავშირი. გვაქვს უფასო სასადილო მოსამსახურეთათვის, ეწყობა კრებები და მიტინგები. განწყობილება გლეხებში კარგია. მენშევიკები არ მუშაობენ.

7. ამაღლების რევკომიდან ვარდენ ზამბახიძე.

სულიერი განწყობილება ხალხში არა უშავს. პარტიას და რევკომს შორის დამოკიდებულება კარგია, თუმცა წინეთ ქონდა ცოტა უთანხმოებას ადგილი. არსებობს სამი სასწავლებელი ერთი მოითხოვს შეკეთებას. მილიციონერები და რევკომის წევრები კრიზის განიცდიან.

8. ჩიბათის თემის რევკომიდან თავმჯდომარე ვარლამ კუნჭულია.

თემში სრული რევოლიუციონური წესრიგია დამყარებული. ხალხის დახმარებით გაყვანილ იქმნა არხი 400 საჟენი სიგრძით. შეკეთებულ იქმნა გზა.

რევკომმა აღმოაჩინა 220 არშინი ნაქურდალი ფართალი, რომელიც დაურიგა ღარიბებს. არის აფთიაქი, და საფერშლო პუნქტი. სახალხო სახლი და თეატრი. იყო ორვა ვაგონამდე სიმინდი, აქედან მასწავლებლებს მიეცა სამ-სამი ფუთი, ლანჩხუთს წაუღია 750 ფუთი, დაურიგდა აგრეთვე მილიციონერებს. პარკი შემოდის. გამწვავებულია ტყის საკითხი, რომელიც თხოულობს სათანადო პასუხის გაცემას.

9. [illegible] თემის რევკომიდან ამხ. კაპ. [illegible].

წინად მენშევიკები აქ ძლიერი იყო. ჩვენი პარტია თითქმის არც არსებობდა. ეხლა პარტია არის 32 წევრით და 49 კანდიდატით. სკოლები არის ნაწილი დამთავრებულია. სიმინდი არც უყიდია და არც იშოვება.

10. კონჭკათის თემის რევკომიდან მიხ. ძნელაძე. კომუნისტური პარტია სუსტია. პარტიის წევრი თოთხმეტია 32 კანდიდატით. მიტინგი მოეწყო სამჯერ ადგილობრივი ძალებით. საჭიროა ძალები. მიღებულია ზომები გზების შესაკეთებლად.

11. ბუკისციხის რევკომიდან თავმჯდომარე სერგო ქორიძე.

ჩვენ მთავრობას ხალხი კარგი თვალით უყურებს, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი მტრები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ რომ ხელი გაგვიტეხონ. არის აგრეთვე შენიშნული მენშევიკების მალული მუშაობა. ჩვენი პარტია თანდათან ძლიერდება, გზებს უკვე აკეთებენ. არის სკოლები, მაგრამ თხოულობს დამთავრებას.

სურსათი ნაკლებია. პარკის კარგი მოსავალია და კიდეც მოაქვთ. ტრანსპორტი არ არის. არის ტელეფონი. რევკომი შესდგება სამი კაცისაგან, ხუთი მილიციონერია.

12. ცაცხვიანის თემის რევკომიდან თავმჯდომარე ილაკრი ანთაძე.

თემი ახალია, არის კანცელიარია მოწყობილი. რევკომი შესდგება სამი კაცისაგან—მილიციონერები ექვსია. კომლი სამასამდეა. პარტია არ არის მაინდამაინც ძლიერი ხალხი მთავრობას სცნობს. გვაქვს ორასი ფუთი სიმინდი ორი სკოლაა, რომელიც საჭიროებს რემონტს.

13. ნიგოითის თემის რევკომიდან ლევან კალანდარიშვილი.

უპირველეს ყოვლისა რევკომის პირველი მიზანი იყო არა საიმედო პირების განიარაღება, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი რევკომის ინიციატივით გაყვანილ იქნა თხრილი სიგრძით 900 საჟენი არხი კი 5 ვერსი, შეაკეთეს გზა. არის საფერშლო პუნქტი, აფთიაქი, აფთიაქიდან უფასოდ სარგებლობს, მხოლოდ ღარიბი ნაწილი საზოგადოების. ხუთი სკოლებია, რომლებიც მოითხოვს რემონტს. კრიზისი არის გვქონდა სამ ვაგონამდე სიმინდი, რომელიც მიეცა ჯარს და ნაწილი დაურიგდა მილიციონერებს. ლიტერატურა მოდის. არსებობს დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურათ მართავს წარმოდგენებს

14 გვაზხუს თემის რევკომის თავმჯდომარე სერგო ქინქლაძე.

განიარაღება უკვე ჩატარებულია. გზების შესაკეთებლად მიღებულია წინასწარი ზომები. არის სკოლები, მაგრამ მოითხოვს შეკეთებას. გაძარცვეს [illegible] კოოპერატივი, ხალხი მოითხოვს მძარცველების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას.

ტყე არ არის დაცული კარგათ, იწვება ტყეები და სხვა კოოპერატივი არა ნორმალურ მდგომარეობაშია. კრიზისი არის.

15 ხიდისთავის თემის რევკომის თავმჯდომარე ამხ. [illegible] ხარულაძე.

თემი შესდგება 1000 კომლისაგან. პარტიულ მუშაობას არა უშავს. ლიტერატურას სრულებით მოკლებული ვართ. რევკომის წევრები და მილიციონერები ჯერაც დაუკმაყოფილებელია.

არის საექიმო პუნქტი, ორი ფერშალია, არსებობს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი და მრავალი პირველ დაწყებითი. კრიზისი არის. წარმოდგენები სისტემატიურად იმართება. პარტკომს და რევკომს შორის დამოკიდებულება კარგია

16 აკეთის თემის რევკომიდან ალექსანდრე მგალაძე.

წინეთ აქ პარტია სრულებით არ იყო და ამის გამო რევკომში ორი უპარტიო იყო, მაგრამ მოხდა რეორგანიზაცია და რევკომი შესდგება 3 პარტიული ამხანაგებისაგან. ხალხი ნდობის თვალით გვიყურებს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მალული მტრები ეწევიან თავისგვარ პროვოკაციას. არის საექიმო პუნქტი და ტელეფონი.

17. შუა სურების თემის რევკომიდან ანდრო ტრაპაიძე.

ჩვენი პარტია ძლიერ სუსტია. მაგრამ შეძლებისდაგვარად განიარაღება მაინც შევძელით, როგორც იცით სურები მუდამ ბუდე იყო კონტრ რევოლიუციის, ამიტომ აუცილებლათ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ხშირათ უნდა იმართებოდეს მიტინგი, მაგრამ ყველა ამას ჯერ ჯეროვნით მოკლებული ვართ და აწი კი ვიმედოვნებთ, რომ შუა სურების თემს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

სამწუხაროთ არ არის არც ექიმი და არც ფერშალი ამ მხრივათაც უნდა მიექცეს ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში რევკომის მუშაობა გაუძნელდება.

18 ლეხაურის თემის რევკომიდან ამხანაგი ჭყონია. ჩვენს თემში 970 კომლია, 9 უბანი. ამათ რიცხვში ორი უბანი თათრისა. მოხდა განიარაღება. ავკრიფეთ 120 თოფი. იმართება წარმოდგენები. დაარსდა [illegible]. არის უფასო სასადილო. ხალხი კარგი თვალით გვიყურებს.

19. ოზურგეთის თემის რევკომიდან სიმონ სურგულაძე. თემში 576 კომლია, რევკომი შედგება სამი ამხანაგისგან. მილიციონერები გვყავს შვიდი რომლებსაც აქვს დაკავებული რაიონის სამხედრო კომისარის მიერ სხვა და სხვა დავალებები, პარტიის წევრები 47—კანდიდატი 23 აგრეთვე თოფები. მენშევიკები ვერასფერს [illegible] გარდა იმისა, რაც მოხდა 26 მაისის მიტინგზე. კოოპერატივები არის, მაგრამ ნაკლებად მოქმედებენ.

20. ჩოხიათის თემის რევკომიდან სილოვან ანდღულაძე. უპირველესად ყოვლისა მოხდა არა სასურველი პირების განიარაღება. პარტიას და რევკომს შორის კარგი დამოკიდებულებაა. პარტიას ყავს საკონტროლო კომისია. იყო კონფლიქტი ცაცხვიანის და ჩოხათის შორის გამიჯვნის ნიადაგზე, მაგრამ მოგვარებულ იქნა. არის საექიმო პუნქტი, კრამიტის ქარხანა, რომელიც მუშაობს და [illegible] განკარგულებაშია. აგრეთვე არის ოთხი სკოლა, საჭიროებს რემონტს.

21. სუფსის თემის რევკომიდან სიმონ ადეიშვილი.

გადატრიალების დროს ქონება სრულებით წესიერათ იქნა ჩაბარებული. მენშევიკები არავითარ საწინააღმდეგოს ვერ ბედავენ არის 9 სკოლა, რომელიც თხოულობს შეკეთებას.

რევკომს და პარტკომს შორის კარგი დამოკიდებულებაა. სიმინდი ჩვენს განკარგულებაში სრულებით არ არის, ვინაიდან ჯარის ყოფნის დროს ვაწვდიდით. მილიცია და რევკომი სოლიდარულათ მუშაობს. არსებობს საექიმო პუნქტი.

ყარაჩოდელი.

(დასასრული იქნება)

სოციალური უზრუნველყოფა ახალქალაქში.

მარტის რიცხვებში [illegible] შემოსევის დროს [illegible] გაძარცვული იქნა [illegible] 19 სოფელი. ამ სოფლების უსახლკარო მცხოვრებთათვის მაზრის სოციალ უზრუნველყოფის განყოფილების მიერ სასწრაფოდ მოწყობილ იქნა 9 საკვები პუნქტი, საიდანაც 27 მარტიდან 1 ივლისამდე გაცემულია:

ქართოფილი 16693 ფ 9 გ, ქერი 821 30 ხორბალი 145 ფ 32 გ, სიმინდი 201 ფ, მარილი 33 ფ, ყველი 2 ფ 22 გ., მსხვილ რქიანი საქონელი 38 სული, წვრილი 112 სული, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხარჯზე დათესილია ქართოფილი 556 ფ. 13 გირ. ხვნა თესვის კამპანიის.

ამას გარდა, სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებასთან არსებულ განსაკუთრებულმა კომისიამ მოაწყო დასახლებულ სოფლების მიწების დახვნა დათესვა.

აგრეთვე შეუდგა დავრდომილთა და ობლების რაოდენობას გამოკვლევას, რათა მათთვის აღმოეჩინა სოციალური დახმარება.

აღნიშნულ დროს განმავლობაში მიღებულია 1629 განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ. კომისიის მიერ გარჩეულია 82 განცხადება. დახმარების სახით გაცემულია 375.000 მ. ნ. [illegible] ყველა ქვე განყოფილებები.

პირველ რიგში აუცილებელია დავრდომილთა თავშესაფარის და უფასო სასადილოს მოწყობა. ხარჯთ აღრიცხვა ამ დაწესებულებების გახსნისათვის გამომუშავებულია და წარმოდგენილია სოც. უზრ. სახ. კომ. დასამტკიცებლად.

[illegible] სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მოწყობილია პროფესიონალური სახელოსნოები დავრდომილთა საშუალო, რომელნიც შრომის უნარს სრულიად მოკლებულნი არ არიან. ჯერ ჯეროვნით გახსნილია: ბამბუკის, ფეხსაცმელების სამკერვალო და საზეინკლო სახელოსნოები.

ბ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 14/25.

აგარაკ ბახმაროზე მიმავალ ყველა მოაგარაკეთა საყურადღებოთ.

წელს ბახმაროს აგარაკზე მრავალი მოაგარაკენი გაემგზავრა. ოზურგეთის სამაზრო რევკომი ყველა ავადმყოფებს დიდ დახმარებას უწევდა, მათ საგარაკოთ გასამგზავრებლათ: ტრანსპორტით, სურსათით, უფასო ბინით და სხვ

დღეს კი ირკვევა, რომ ბახმაროს აგარაკი უკვე მოაგარაკეებით აივსო. ყველა ბინები მოაგარაკეთა მიერ დაკავებულია და მომარაგებელი სურსათი მხოლოთ იმათთვის იქნება საკმაო, რომლებიც უკვე აგარაკზე დაბინავებული არიან.

ამის გამო ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ოზურგეთის სამაზრო რევკომი, ახალ მოაგარაკეებს, ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს.

დედანს ხელს აწერენ: სამაზრო რევკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. მახარაძე. საინსტრუქტორო საინფორმაციო განყოფილების გამგე ა. ბოკერია. მდივანი ს. ნემსაძე.

საინსტრუქტორო-საინფ საქ. მწარ. მ. თოთიბირიძე.

სარედაქციო კოლეგია.

სხვა და სხვა

— საბჭოთა სკოლების სამართველო ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 4 აგვისტოს ქალაქის რევკომის შენობაში (ყოფილი თვითმმართველობა ქალაქისა) დანიშნულია შეკრება თფილისის ყველა ქალაქის ბუტკებისა და ყველა იმ ადგილებისა, რომლებზედაც ბუტკები იმყოფება; ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ამ შეკრებაში, გამოცხადდენ დანიშნულ დღის 3 საათზე.

— საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი სთხოვს ყველა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებს რათა რკინის გზის მუშების და მოსამსახურეებისაგან პროფესიონალური წიგნაკების მოთხოვნის დროს, ხელმძღვანელობდნენ პირადობის მოწმობებით მხოლოდ, სანამ მათ არ მიეცემათ პროფესიონალური წიგნაკები.

საქმეთა მმართველი გ. კილოსანიძე.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდის.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136 თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

განათლების და სოციალისტურ კულტურულ კავშირის საორგანიზაციო ბიურო

აგვისტოს 4, 5, 6 განმავლობაში სოციალისტური განათლების კავშირის ბინაზე, სასახლის ქუჩ. № 5 დანიშნულია რეგისტრაცია ყველა კომუნისტებისა რომლებიც ირიცხებიან ზემოაღნიშნულ კავშირში წევრებათ და აგრეთვე იმ პირებისა, რომლებიც ჯერ არ შესულან კავშირში წევრად. რეგისტრაცია სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესრიგით.

მდივანი ტ. ჯ.

კავშირის თავმჯდომარე ა. მიქაძე

განცხადება.

პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის საკლუბო ქ) განყოფილება თანახმად საქართველოს რევკომის №, 45 დეკრეტისა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კლუბი დაუყოვნებლივ უნდა აღირიცხოს პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის საკლუბო ქ) განყოფილებაში) ლორის მელიქოვის ქ №5). ამ მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის კლუბები დახურულ იქნება.

პოლიტ. განათლ: მთავარ მმართველობის თავმჯდომარე დ. ხ ჭაპურიძე

მდივანი ს შავიშვილი

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ ლის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.

ჟურ. „ყუმბარა“

1 აგვისტოს გამოვიდა ახალი სალიტერატურო და საიუმორისტო ჟურნალი „ყუმბარა“ მასალები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: პოლიტ. განათლების მთავარმმართველობის საგამომც. განყოფილება (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

ავტორები მიიღებენ